ახსნა-განმარტება ექსპერტის შენიშვნებზე.

ქალაქი თბილისი, ბაგები, ჩიხი იმედაძის I, №7-ის მიმდებარე ტერიტორიაზე უნდა აშენდეს, ცხრასართულიანი სამდონიანი მიწისქვეშა სართულით, მრავალფუნქციური კომპლექსი.

კონსტრუქციულად შენობა გადაწყვეტილია რ/ბ კარკასულ ვარიანტში, საძირკვლის ტიპი, რ/ბეტონის მონოლითური ფილა ან ბურღვით-ნატენი ხიმინჯები.

საკვლევი მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების და ქანების ლითოლოგიის დასადგენად, საბურღი დანადგარით "უგბ-1-ვს"-ით გაიბურღა 3 ჭაბურღილი 6.10მ-მდე სიღრმის. ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, სამშენებლო მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა ფუძე-გრუნტის ორი ფენა: ს.გ.ე. 1 (ფენა 1) გამოფიტული, დანაპრალიანებული, მოყავისფრო-მოყვითალო, თხელშრეებრივი ქვიშაქვებისა და არგილითების მორიგეობა (ძირითადი ქანის ელუვიონი) და ს.გ.ე. 2 (ფენა 2) სუსტად გამოფიტული, მოყვითალო-მონაცრისფრო, საშუალოშრეებრივი ქვიშაქვებისა და მორუხო, თხელშრეებრივი არგილითების მორიგეობის წყება. ანგარიშში მოცემულია ს.გ.ე. 2 (ფენა №2)-ის დახასიათება და მისი ფიზიკურ-მექანიკური (ნორმატიული) მნიშვნელობები.

საკვლევი მოედანი წარმოადგენს ჰორიზონტალური რელიეფის მქონე ტერიტორიას, სადაც ძირითადი ქანები მიწის ზედაპირიდან ღრმადაა განფენილი, არ არის გამოფიტული და გაწყლოვანებული, ამიტომ არახელსაყრელი გეოლოგიური მოვლენების განვითარების (მეწყერი, კარსტი, ჩაქცევა) და ქანების მოცურების საფრთხე გამორიცხულია.

მექანიკური ბურღვის მეთოდით, გეოლოგიური კვლევითი სამუშაოების ჩატარებისას, შეუძლებელია ძირითადი ქანების დაქანების აზიმუტისა და დახრის კუთხის გაზომვა. მოცემულ რეგიონში, საარქივო მონაცემებით: ძირითადი ქანების დაქანების აზიმუტი ჩრდილო-აღმოსავლურია 340-345^0, დახრის კუთხე 20-25^0, ეს მონაცემები თანხვედრია ამგები ქანების ვარდნასთან.

საქართველოს დამსახურებული მშენებელი,

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი /გ. ჭოხონელიძე/